№ 243 24 ნოემერი, შაბათი 1866—1879 24 ნოემბერი. შაბათი № 243

დროება

ᲣᲙᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ფასი განცხადებისა: ერთ ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ 1880 ᲬᲚᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲖᲔᲓ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „**დროება**“ და ჟურნალი „**ივერია**“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „**დროება**“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სიერცე) უფრო დიდი ექნება. ᲩᲣᲠᲜᲐᲚᲘ „**ᲘᲕᲔᲠᲘᲐ**“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სიერცით თორმეტი დიდი თაბახი.

გაზეთის შესაფერ სტატიებს შესახებ შინაურის მიმოხილვისა და პოლიტიკისა, მარტო „**ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ**“ მიეცემა ადგილი; ხოლო უფრო ვრცელს სტატიებს რომელსამე განსაკუთრებულს საგანზედ, პოლიტიკისა და შინაურის საქმეების შესახებ, ექნებათ ადგილი ჟურნალს „**ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘ**“. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ მომავალის წლის დამ ჟურნალი „**ᲘᲕᲔᲠᲘᲐ**“ უფრო იმ გვარს წიგნებს დაემსგავსება, რომელთაც რუსები „**ᲡᲑᲝᲠᲜᲘᲙᲘᲡ**“ ეძახიან, ვიდრე დროგამოშვებითს გამოცემასა; განსაკუთრებული ყურადღება რედაქციისა იქნება მიქცეული მასზედ, რომ „**ᲘᲕᲔᲠᲘᲐ**“ ადვილი საკითხავი, კარგი გასართობი და თან სასარგებლო წიგნიც იყოს, და ამისთვის უფრო ვრცელი ადგილი ეჭირება რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს როგორც თარგმნილებს, ისე პირ-და-პირ ჩვენს ენაზე დაწერილებს, და აგრეთვე ძველს ჩვენს მოთხრობებსაც, რომელნიც იმ სახით დაიბეჭდებიან, რომ მერე ცალ-ცალკე წიგნად შეიკრებოდეს.

ᲐᲛ შეერთებულის შრომისა და ღონის წყალობით, „**ᲓᲠᲝᲔᲑᲐ**“-„**ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ**“ რედაქციას იმედი აქვს, რომ შემდეგში თავის მოვალეობას მკითხველოა წინაშე უფრო უკეთ შეასრულებ, რადგან ამ საქმეში ჩვენთა უკეთესთა მწერალთა აღუთქვეს იმას თავისი შემწეობა და თანაგრძნობა.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

მიიღება Тфилисში: „**ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ**“ რედაქციაში, სოლოლაკზე, ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

ᲤᲐᲡᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“	და	„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“	—	ერთად	—	13	მან.	— 7	მან. — 4 მან.
ᲪᲐᲚᲙᲔ:	„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“		—	—	—	9	„	— 5	„ — 3 „
	„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“		—	—	—	6	„	— 4	„ — 2 „

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲦᲘᲠᲘᲗᲐ — 5 ᲙᲐ�პᲔᲘᲙᲘ.
— — „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ“ — 2 მანეთი.

ᲮᲜᲐ ᲕᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ.

ხვედრი ფული ხელის-მოწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანაევ უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ { Თ. ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ. ᲡᲔᲠ. ᲛᲔᲡᲮᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“ — ᲡᲢ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ“ — Თ. ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 20 ნოემბერს. პეტერბურგის დროებით ღენერალ-ღუბერნატორმა მიიღო მხედველობაში, რომ აზნაური მირსკი და პრაპორსჩიკი ტარხოვი სრულ-წლოვანი არ არიან და ამას გარდა რომ ამათ გამოაცხადეს სინანული, და, უმაღლესად მინიჭებულის უფლებითა, შეუმსუბუქა ამათ სასჯელი: მირსკის ჩამოერთვას ყოველი ღირსება და სამუდამოთ გაიგზავნოს კატორღაში, ტარხოვსაც ჩამოერთვას ყოველი ღირსება და დამწყვდეული იქმნეს ციხეში ათი წლის ვადით.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 21 ნოემბერს. აი ნაამბობი ერთის პირისა, რომელიც ლაღუმით აფეთქილს მატარებელზედ იჯდა:

17 ნოემბერს, მარშრუტის თანახმად, ხელმწიფე იმპერატორი შუალამეზე უნდა წასულიყო კრკინის გზით სიმფეროპოლიდამ; ნახევარის საათის წინათ უნდა წასულიყო სხვა პოეზდი, რომელზედაც უნდა მჯდარიყვნენ ხელმწიფის ამალა და მოსამსახურეები. ბედნიერის შემთხვევით, ხელმწიფე იმპერატორის პოეზდი დანიშნულს დროზე ადრე მოვიდა სიმფეროპოლში; ამის გამო ამ ქალაქიდამ ჯერ ხელწიფის პოეზდი გავიდა ნახევარ საათით ადრე, და მერე იმის ამალისა და მოსამსახურეებისა. როდესაც ეს უკანასკნელი პოეზდი მოსკოვს მოუახლოვდა ორ ვერს ნახევარზე, უეცრად საშინელი ხმაურობა მოისმა; ვაგონები გადაყარ-გადმოყარა რელსებიდამ, ზოგი ყირაზე დააყენა და როცა გამოვხტით ვაგონიდამ, მხოლოთ მაშინ შევნიშნეთ, რომ ეს მოხდა ლაღუმის აფეთქებისაგან, რომელსაც ერთ ალაგას დიდ მანძილზე გაეთხარა ღრმათ მიწა.

იმ წამსვე მოცვივდა პოლიცია და ხალხი. უველას ის ეხაროდა, რომ ხელმწიფის პოეზდმა ადრე გაიარა და გადარჩა ამ უბედურებას. ტელეგრაფის სვეტებიც წაქცეული იყო და ამის გამო

იქიდამ დეპეშის გამოგზავნა ვერ მოვახერხეთ.

ვაგონებში მყოფი ხალხი ყველა მშვიდობით გადარჩა, მხოლოთ შეშინებული იყვნენ. Cხადია, იმ ბოროტ სულებს ეგონათ, რომ ხელმწიფე ამ მეორე პოეზდით მობრძანდებოდა.

ღამის მეორე საათზე პროკურორი და გამომძიებელი მოვიდნენ. ლალუმის მილი იქვე ახლო სახლიდამ იყო გამოყვანილი; დაათვალიერეს ის სახლი, არავინ არ იყო. Eზოში ნახეს მაუთული, რომელიც ქვემო ეტაჟაში მიდიოდა, სადაც ასაფეთქი ბატარეია იყო გამართული; აქედამ კარგათ ჩანს, როდესაც გზაზე ვაგონები გაიარს.

ბამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს სახლი ენკენისთვეში ერთ ვიღაც ახალგაზდა კაცს უყიდნია, რომელიც ამბობდა, რომ გვარად სამარსკი ვარო. Iმ ადგილიდამ რელსებამდინ 22 საჟენი მილი არის, სამ საჟენ სიღრმეზე, გაყვანილი. Oვითონ ამ სახლში ნახეს ძველი მებელი, რამდენიმე ხელი ტანისამოსი; შპალერს ქვეშ მაუთულებია გაყვანილი. Eტყობა რამდენიმე კაცი ყოფილა ამ საქმის მომხდენნი. Iმედი აქვთ, ამ ბოროტმოქმედ პირებს მონახვენ, რადგან მეზობლები ამბობენ, რომ სახეზე ვიცნობთო.

ქაბული, 19 ნოემბერს. ვიცე-კოროლის განკარგულებით, Eმირი ქაბულიდამ გაგზავნეს დღეს პეშევარში.

სტამბოლი, 20 ნოემბერს. Oსმალოებმა 12 ქრისტეOობისთვეს უნდა ჩაბარონ ბუსინიე ჩერნეგორიელებს. Mუხთარ-ფაშა პრიზრენდში მივიდა.

პეტერბურგის გირჟა, 19 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის Eელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემი —	— 94	— 25
მეორე — — —	— 93	— „
მესამესი — —	— 94	— 37
მეოთხესი — —	— 94	— 12
Aღმოსავლეთის პირ. —	90	— 75
Aღმოსავლეთის მეორე —	90	— 75
Aღმოსავლეთის, მესამე —	„	— „
Oქრო, ½ იმპერიალი —	7	— 83
გირაოს ფურცელი —	„	— „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები		
	მან.	კაპ.
პირველი სესხის —	— 232	— 25
მეორე სესხის —	— 226	— 25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25	— 20 პენსი
ბამბური — —	214	— „ ცენტი
პარიჟი — — —	265	— 25 სანტიმი
ვენა — — —	127	— 25 ჰფენიგი
ქავკასიის კერასინი — — —		

საქართველო

დღიური

*** როგორც ჩვენს გაზეთშიაც იყო ამას წინათ გამოცხადებული, Oფილისიდამ ბაქომდინ რკინის გზის გაკეთება მიენდო Oოთი-Oფილისის რკინის გზის კამპანიას, რომელსაც ამისგამო დაერქვა სახელად „ქავკაზიის აქეთა მხრის რკინის გზის საზოგადოება“. Oფილისიდამ ბაქომდინ რკინის გზის გასაყვანად 34,000,000 მანეთი არის დანიშნული.

*** რუსულს გაზეთებში იწერებიან, უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვსო რომ მომავალის 1880 წლის 1 იანვრიდამ უბრალო დაბეჭდილი წიგნის გაგზავნის ფასი, 7 კაპეიკის მაგივრად, 6 კაპეიკი დანიშნოსო.

*** ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი შენიშნვა ზაქათალიდამ:

„Dროების“ № 231-ში წავიკითხე ქუთაისიდამ მოწერილი კორრესპონდენცია იქაურს სატუსაღო-საპყრობილის შენობაზედ. ზოგიც ზაქათალის სატუსაღო უნდა ნახოს იმ უფ. ქუთაისის კორრესპონდენტმა, რომ დაავიწყდეს ყველა.

„Aრასფერს არ უყურებენ და ტყვილათ ფულებს კი იღებენ რემონტისათვის ყოველ წლივ.

„Aმ ჩვენს საპყრობილეში არასფერისაგან არასფერი არა არის-რა საფუძვლიანი. Sულ დიმპალი, გაფუჭებული და გაოხრებულია; აკოშკები არ იხურება, მიწის პოლი ისეთია, რომ კაცმა თუ სიფრთხილით არ გაიარა, კისერს მოიტეხს, კარები დამტვრეული და დამპალი; ტახტები, რომელზედაც ტუსაღები წვანან, ძლივს ფეხზედ დგას, აქა-იქ არა აქვს ფიცრები; სატუსაღოს ოთახებში ყოველ მხრივ უბერავს ქარი, სიცივისაგან იხოცებიან საწყალი ტუსაღები.

„Aმ საქმეზედ, ე. ი. გაკეთებაზედ, ბევრჯელ იყო შედგენილი აქტი კომისიისაგან, მაგრამ ვერა გაარიგეს-რა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა

21 ნოემბერს

Aმ ოთხშაბათს ჩვენმა სამუდამო ტრუპამ წარმოადგინა თ. დ. Eრისთვისაგან ორი ახლად გადმოკეთებული კომედია: ორ მოქმედებიანი „საძაგელი“ და სამ მოქმედებიანი „ქეთილი და უმანკო ანგელოზი“.

„საძაგელი“ ამას წინათაც იყო ერთხელ წარმოდგენილი. საფაროვისა და ბაბუნიას ქალებმა და უფ. ქ. მესხმა იმ პირველ თამაშობისთვისაც საკმაო ტაშის-კვრა და ბრავოს ყვირილი მიიღეს მაყურებლებისაგან და ახლაც კიდევ უფრო მომეტებული; მაშინაც ღირსნი იყვნენ და ახლაც.

საფაროვის ქალს თითქო ცოტათი სიმკვირცხლე, სიცხოველე აკლია ამ როლში; მაგრამ ეს გვეჩვენება მხოლოთ იმიტომ, რომ ბაბოს როლში ჩვენ გვინახავს რუსულ სცენაზე Aლექსეევის ქალი, რომელსაც ამისთანა ხასიათის როლების აღსრულებაში, მგონია, დედამიწაზე ვერავინ ვერ შეედრება.

უფ. ქ. მესხი „საძაგელში“, როგორც მოგეხსენებათ, გიმნაზისტს თამაშობს; იმას თითქო უნდოდა ისეთი გიმნაზისტი წარმოედგინა ჩვენთვის, რომელიც ლათინურისა და ბერძნულის სწავლით სრულიად გამოტვინებულია, არაფრის არა ესმის-რა, მხოლოთ ძილი ახსოვს და ნატრულობს იმ დროს, როცა სწავლას თავს დაანებებს. პუბლიკას ძალიან მოეწონა, როდესაც უფ. ქ. მესხმა თავის როლში ჩაუმატა; რომ „ქართულ ტრუპპაში შევალ აქტიორათაო, მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ თვეში ცხრა მანეთისა და სამ აბაზ უზალთუნის მეტს ჯამაგირს არ მაძლევენო; რეჟისსორი ამბობსო, რომ მეტის მოცემა არ შეგვიძლიანო, მაღალი საზოგადოება, ჩვენი არისტოკრატები არ დაიარებიანო, ისინი ბალების, პიკნიკებისათვის და კარტში თითო ღამეს სამასოთხას მანეთს დახარჯავენო, მაგრამ ქართულ თეატრისათვის კი სამი მანეთი შურთო“ და სხვ.

ლევანის, ახალგაზდა მოარშიყის როლს თამაშობდა უფ. ვ. აბაშიძე. Oუმცა ცდილობდა, რომ სული ჩაედგა ამ როლში, გამოეყვანა რამე, მაგრამ ერთის მხრით როლის უცოდინარობა და მეორეს მხრით თვითონ როლის უფერულობა უშლიდა ხელს და ამნაირად ამ ნიჭიერ მოთამაშემაც ვერა მოახერხარა.

„ქეთილი და უმანკო ანგელოზი“ ძალიან სასცენო და შნოიანი ფარსია და არა კომედია; ქართულად ჩინებულად და მოხერხებულად არის თ. დ. Eრისთვისაგან გადაკეთებული.

Uმთავრესი როლი (მოხუცებული კაცის) ამ პიესაში ჰქონდა უფ. ვ. აბაშიძეს; მთელი კომიზმი იმაზედ არის დამყარებული, რომ ეს მოხუცებული

კაცი მოარშიყეა, „მტერია ლამაზი ქალებისა“ და ცდილობს, რომ რაშე გაარიგოს; მაგრამ იმის არშიყობიდამ „არა გამოდის-რა“, რადგან ყველა სასაცილოდ იგდებს და ყველას „კეთილ და უმანკო ანგელოზად“ მიაჩნია; მოხუცებული ჯავრობს ამ მეტ სახელზე, თავის გულს ასკდება, მაგრამ მაინც „არა გამოდის-რა“.

ამ გვარ როლების თამაშობაში უფ. აბაშიძე გამოცდილი და დახელოვნებული მოთამაშეა; საუბედუროთ, გავლილ ოთხშაბათს იმას ძალიან უშლიდა როლის უცოდინარობა: მაყურებელს ეგონა, თითქო უფ. აბაშიძეს არც კი წაეკითხა თავის როლი, რადგან უსუფლიორროდ ხმას ვერ იღებდა; ეს დალოცვილი სუფლიორიც ერთობ ხმა-მაღლა უჩურჩულებდა, ასე რომ ჯერ იმის სიტყვა ესმოდა პუბლიკას და მერე უფ. აბაშიძის გამეორება. რაღა თქმა უნდა, რომ ამან ერთობ მოაკლო ეფექტი უფ. აბაშიძის ჩინებულ თამაშსა. ოდეა კია, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ამისთანა ნიჭიერი აქტიორი არ გულ-ავარდნით ეკიდებოდეს თავის საქმეს; ამ ნიჭთან რომ უფ. ვ. აბაშიძეს შესაფერი მეცადინეობა და მუყაითობა ჰქონდეს; მეტი არა უნდა-რა...

ბაბუნიას ქალმა, საფაროვისამ, ძ. მესხმა და სხვებმა ყველამ იმდენათ ცოცხლად და მარჯვედ წარმოადგინეს თავის როლები, რომ საზოგადო შთაბეჭდილება პიესამ ბოლოს მაინც ძლიერ სასიამოვნო დასტოვა მაყურებლებში; და არა გვგონია, რომ იმ საკმაოდ დიდს საზოგადოებაში, რომელიც ამ ალამოს დაესწრო ქართულ წარმოდგენაზე, ერთიც ვინმე გამოჩნდეს ისეთი, რომელსაც შეეძლოს თქმა, რომ ტყუილუბრალოთ დავკარგე ბილეთის ფული, ესტეტიკური სიამოვნება არ მიმიღიაო...

სამართალი

ტატო წულუკიძის საქმე

ქავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში *).

სხდომა 19 ნოემბერს.

(მაგრძელება)

სხდომა გაიხსნა ათ საათზე. ზალა სავსეა.

ტ ა ტ ო წ უ ლ უ კ ი ძ ი ს ა დ ვ ო კ ა ტ ი უფ. ნესტეროვი: ორი დღეა ირჩევა ამ სასამართლოში ეს საქმე. ჩემის ჭზრით, გამოძიება წულუკიძის და მისი ამხანაგების სასარგებლოთ არის. პროკურორი კი ამტკიცებს, ამ გამოძიებიდამ გამოდისო, რომ ისენი დამნაშავენი არიანო. ვნახოთ რამდენათ მართალია ეს.

დაიწყოთ წულუკიძის წინააღმდეგ მოწმებიდამ:

ტიმოფეევმა აჩვენა: მე ბველესიანმა იმიტომ გამანდო მისი საიდუმლო, რომ რჩევა დამეკითხაო. რათ უნდოდა ბველესიანს ტიმოფეევის რჩევა? მის მოუვიდა ფიქრში, რომ ბორის სატუსალოში ტერ-თამაზოვის გამცარცველები სხედან? ან კი ტიმოფეევს რა რჩევის მიცემა შეეძლო ტატო წულუკიძისა და მისი დოსტებისთვის? ეს ჩვენება არ არის ჭკუაში მისაღები, ე. ი. არის ტყუილი.

ხოსროევი პირდაპირ ამბობს დამნაშავე ცატურიძე არისო. ამ ცატურიძემ გამოაჩინა ის დუქანი, საცა საათი იყო. განა ძნელია მიაგნოს კაცმა იმ ადგილს, საცა რამდენიმე ხნის წინათ შეინახა ასეთი გზით მოპოებული საშიში საათი? განა არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თითონ ცატურიძემ ჩაფლა ეს საათი ამ დუქანში, და თითონვე ცატურიძემვე აღადგინა მკვდრეთით?

ამის შემდეგ ადვოკატი გადადის იმის მსჯელობაზე, რომ სიკვდილით დასჯა სულ არ უნდა არსებობდეს, რადგანაც საზოგადოებისათვის სრულებით არ არის გამოსადეგი. ამის დასამტკიცებლათ იმან მოიხმარა ევროპიული სწავლულები და ფილოსოფოსები: ბენტამი, სპინოზა, ბეკკელი, ბოკლი და სხ. სთქვა რომ თუ საზოგადოებამ გიჟებისა და შეშლილებისთვის მოიგონა წამალი (გიჟების სახლი), რატომ ამნაირ ბოროტ-მოქმედთათვის არა სძებნის ამ ნაირსავე წამალს. ტყუილათ ფიქრობენ, რომ ვინძე შეაშინოს ამნაირ სასჯელმა. ინგლისში ყველაზე უფრო ქურდობა მაშინ იყო გავრცელებული, როდესაც ხალხი შეიკრიბებოდა საღრჩობელაზე...

თ ა ვ ს მ ჯ დ ო მ ა რ ე. ბოხოეთ წულუკიძეზე ილაპარაკოთ.

ა დ ვ ო კ ა ტ ი.... იუხანცევმა (ერთი რუსეთის ბანკი გაქურდა) ათასი ოჯახის პატრონი დაღუპა, ის ტკბებოდა პეტერბურგის ცხოვრებით და სიკვდილსაც გადურჩა; ტატო წულუკიძემ ეთქვათ მოიპარა ერთი უბრალო ვერცხლის საათი, ერთი ქამარი და 14 მანეთი ფული, მერე პეტერბურგის ცხოვრების ნაცვლად ის ტყე-ტყე დაძვრებოდა საქართველოს მთა-ბარში და ამისთვის საზოგადოებამ უნდა სიკვდილით დასჯოს ეს კაცი? კაცი მოკლაო, იტყვიან. განა ის დაეცა ეისმეს ამ საქმეში და წინ-გაზრახვით მოკლა ვინმე? იმას მოსდევდნენ დასაჭერათ, ე. ი. სასიკვდილოდ, და სხვისი სიკვდილი არჩია თავის სიკვდილს, იმას არ შეეძლო სხვა ნაირათ ქცევა.

წულუკიძის მოწმეების ცხადათ გვიმტკიცებენ, რომ წულუკიძეს 20 დეკემბერს 1877 წელს არ შეეძლო თფილისში გაეცარცვა ტერ-თამაზოვი, რადგანაც ამ დროს წულუკიძე კავკაზში იყო. პროკურორი ამბობს, რომ ეს უაზროვისი ჩვენება არისსო. უარაეი ყალბი ბილეთების კეთებაში არის დაჭერილიო და მისი ჩვენება მისაღები არ არისო. ეს კარგი, თუ გინდა, მაგრამ ცატურიძე და ტიმოფეევი ვინღა იყვნენ? განა ისინი არ არიან ტუსალები და დამნაშავეები? მაშ ნურც მაგათ ჩვენებას ათხოვებენ ყურს. ამბობენ, რომ წულუკიძე დანდუროვმა იცნოო და აჩვენაო, რომ ვითომ იმას მიეყიდოს ეს საათი. ჯერ ერთი, რომ დანდუროვი, როგორც მედუქნე, არ გასცემდა პირ-და-პირ დამნაშავეს (ცატურიძეს) და მეორედ განა შეეძლო დანდუროვს ეცნო წულუკიძე? ერთი რომ, როცა საათი მიუყიდნიათ დანდუროვისათვის იყო ღამე და დუქანი კარგათ არ იყო განათებული და მეორე, როცა თითქმის ერთი წლის შემდეგ დაანახეს წულუკიძე დანდუროვს წულუკიძე ავათმყოფობისაგან ისე იყო შეწუხებული და გამოცვლილი, რომ თითონ ხოსროევმაც, რომელსაც ხშირად უნახავს, ვერ იცნო. დანდუროვს მით უმეტეს არ უნდა ეცნო ის. ამნაირათ მთელს საქმეში არ მოიპოება არც ერთი საბუთი იმის ცხადათ დასამტკიცებლად რომ ტატო წულუკიძეს მიეღოს მონაწილეობა ტერ-თამაზოვის გაცარცვაში. დარწმუნებული ვარ, რომ მსაჯულები მიიღებენ ამას ყურადღებაში და გამართლებენ წულუკიძეს.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ლონდონის გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 7 ნოემბერ გამოგზანილი სტამბოლიდამ: სულთანმა გუშინ მოაწერა ხელი ირადეს (ბრძანებას), რომლის ძალითაც ბეკერ-ფაშა ინიშნება მცირე აზიის ჟანდარმის ჯარის უფროსად. ხვალ ბეკერფაშა მიდის ტრაპიზონისაკენ; ცოტა ხანის შემდეგ ისევ უკან უნდა დაბრუნდეს და მაშინ წარუდგენს ხონთქარს თავის პროექტს იმის თაობაზედ—თუ

*) „დროება“ №№ 240, 241 და 242.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხმაროს ოსმალოს მმართებლობამ მცირე აზიაში მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად.

—სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ახლანდელი ოსმალოს სამინისტრო ორ პარტიათ არის განაწილებულიო, ერთი პარტია, რომლისაც მოთავე არის სამხედრო მინისტერი ოსმან-ფაშა, ცდილობს რუსეთისა და ოსმალეთის მეგობრობით დაკავშირებას; მეორე ბანაკის მინისტრები კი ინგლისის მომხრეებად ითვლებიან. ამბობენ, რუსეთის მომხრეებს ოსმან-ფაშა უნდა გაგზავნონ რუსეთის იმპერატორთან იმ განზრახვით, რომ მეგობრული კავშირით შეეკრას ოსმალეთთან, მაგრამ მას შემდგომ, რაც ლეიარდმა შეაშინა ოსმალეთი თავის სამხედრო ხომალდებით ამ კავშირის საქმე რუსეთსა და ოსმალეთს შუა ჩაიფარცხა.

—სტამბოლში დაუტუსაღებიათ ამ დღეებში 20 აფიცერი ოსმალოს ჯარისა, რომელთაც მონაწილეობის მიღებას აბრალებენ სონთქრის მოკვლის შეთქმულობაში.

საფრანგეთი

„ჰავასის სააგენტოში“ დაბეჭდილია რომ მინისტრების კრებაში, რომელიც ნოემბრის დამდეგს ყოფილა, სამინისტროს თავსმჯდომარემ ვადინგტონმა გამოაცხადაო, რომ „მართალია, აღმოსავლეთის საქმეების თაობაზე ამ ჟამად ევროპაში დიდი აყალ-მაყალი და უკმაყოფილება არის ამტყდარიო, მაგრამ საქმე, იმედია, იქამდინ არ მივა, რომ ამ არეულობას ომი და სისხლის-ღვრა მოჰყვესო“

განცხადებანი

ადვოკატი

ვლადიმირ ვლადისლავის ძე მარკინ კევიჩი გადავიდა ანივაზოვის სახლში სოფლის ბაზარში, ფრანგების ეკკლესიის პირ-და-პირ, იმავე სახლებში, რომელშიაც იმყოფება ანივაზოვის აფთიაქი.

(6—3)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა (უპრავა) ამით აცნობებს თფილისის 1 და 2 გილდიის ვაჭრებსა, რომ, თანახმად ქალაქის რჩევის 1879 წლის 5 ნოემბრის გარდაწყვეტილებისა, ამათ ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ დანიშნული გილდიის მოწმობის ფული უნდა წარადგინონ ვაჭრების უპრავის (ტუპჩესკის უპრავის) სადგომში (სოფლის ბაზარი, დიდი ტალახიანი ქუჩა, ისტამნოვის სახლი).

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ქუთაისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-17 § ძალით, ინიშნება საზოგადო ვაჭრობით გასასყიდლად ხსენებულ ბანკში დაგირავებული უძრავი მამული უ. ზედგინიძისა, წესდებისამებრ შემოსატანთა ფულთა მის მიერ გადაუხდელობისა გამო.

ვაჭრობა მოისპობა მხოლოდ მაშინ, თუ უ. ზედგინიძემ, იმავე წესდების მე-19 §-ისამებრ შემოიტანა უკლისად ბანკის ხვედრი გადასახადი და აგრეთვე განცხადების ხარჯები.

ვვარი, სახელი, მამის სახელი და წოდება.	რა-გვარი მამულია.	სად მდებარეობს მამული.
ზედგინიძე, ივანე იოსების ძე, ნადვორნი სოვეტნიკი.	ოჩ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, 100 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით.	ქუთაისს, მიხ აი ლოვის ქუჩაზედ. (1—1)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იმის თან-დასწრებით იქნება პირველი და უკანასკნელი ვაჭრობა (უპერეტორჟკოთ) შემდეგს საგნებზედ;

1). 24 ნოემბერს 1879 წელსა იქნება ვაჭრობა ავლაბარში მდებარე საქალაქო მიწისა, სივრცით 1890 დესიატინის, და მეორე მიწის, სივრცით 237 დესიატინის, არენდით გაცემაზედ მომავალს 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდე.

2). 7 დეკემბერს ამა 1879 წელს იქნება ვაჭრობა იჯარით გაცემაზედ იმ შემოსავლის მოკრებისა, რომელიც ქალაქსა აქვს მტკვრით მოტანილი იმ ტივებისაგან, რომელნიც ქალაქის კუთვნილ ნაპირებზედ ჩერდებიან. ვადა ამ იჯარისა ითვლება მომავალი 1880 წლის 26 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

3). 7 დეკემბერს ამა 1879 წელსა იქნება ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ იმ ნავისა, რომელიც ქალქის ნავსადგურთან არის ვერაზე. ვადა ამ იჯარისა ითვლება ამ 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

4). 4 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა იმ ხარჯის იჯარით გაცემაზეა, რომელსაც ქალაქიში მომუშავე ფაეტონები, დროჟკები, პოვოზკები და სხვ. (იზვოზნი პრომისელ) იხდიან ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ. ვადა ითვლება ამ 1880 წლის 1 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

5). 1 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ცხენის ხარჯის იჯარით გაცემაზედ. ვადა 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

6). 5 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ქალაქის სასწორისა და საწყაოებისა და საწყაობის შემოსაელის იჯარით გაცემაზედ. ვადა ითვლება 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

ყველა ამ იჯარებისა და არენდების პირობების (კანდიციების) ნახვა და გაცნობა მსურველთა შეუძლიანთ ქალაქის ბამგეობის (უპრავის) კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(13—5)

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის

ზედამხედველი კომიტეტისაგან

ზედამხედველი კომიტეტი თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა, ამა ბანკის წესდების მე-83 § ძალით, **მოიწვევს ბანკის წევრთ-დამწესებლებს უჩვეულებრივ საზოგადო კრებისათვის**, რომელიც იქნება ამა წლის **25 ნოემბერს** ბანკის სადგომში:

განსახილველი საგნები:

ბანკის წესდებაში შეტანა ურთი-ერთ პასუხის-გებისა იმ მამულებისა, რომელნიც შემდეგში გირაოდ შემოიტანებიან ბანკში, და ამის-და-გვარად შეცვლა ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლებისა.

(8—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Ноября 1879 г. Типографія Желтовой. ბამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. ვეხი.